განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06 აპრილი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 9 ივნისი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი, კერძო სააღსრულებო ბიურო, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა შედგება თავისუფალი კომპონენტის (54 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების (156 კრედიტი), ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის კონცენტრაციის სასწავლო კურსებისაგან (30 კრედიტი).

ამჟამად უსდ-ში სამართლის საბაკალავრო პროგრამა არ ხორციელდება და იგი ახალია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უსდ-ში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 6 აპრილს. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 9:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციის (პროგრამა ZOOM-ის) საშუალებით.

აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია გამოხატავდა აშკარა მზაობას თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა, როგორც გასაუბრებების სესიებზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფაში, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

გასაუბრებების პირველი სესია შედგა დაწესებულების ადმინიატრაციასთან. ადმინისტაციის წარმომადგენლებმა ახსნეს უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, აგრეთვე პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

გასაუბრებების მეორე სესია შედგა თვითშეფასების ჯგუფთან. ჯგუფის წევრებისგან მიღებული იქნა ინფორმაცია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესისა და მასში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ.

გასაუბრებების მესამე სესია შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც დეტალურად აღწერეს პროგრამის შინაარსი და თავისებურებები. პროგრამის ხელმძღვანელებმა უპასუხეს აკრედიტაციის ჯგუფის წევრების დასმულ შეკითხვებს პროგრამასთან დაკავშირებული საკითხებზე.

გასაუბრებების შემდგომი სესიები შედგა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

გასაუბრებების მომდევნო სესია დაეთმო ონლაინ რეჟიმში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერებას და ბიბილიოთეკის წარმომადგენელთან კომუნიკაციას.

შემდგომ შედგა შეხვედრები მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებთან, მომიჯნავე ფაკულტეტის კურსადმთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების როგორც მეთოდოლოგია, ისე კონკრეტულად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დოკუმენტი) გადაიხედოს და დაიხვეწოს, რათა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა დასკვნითი შეფასების ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების

შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით.

2.1. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს არა მხოლოდ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, არამედ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ყველა სხვა წინაპირობა თუნდაც მითითებითი ნორმების სახით.

2.2. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოდიფიცირებული იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ კონცენტრაციებს უნდა გააჩნდეთ სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებულია უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებშიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „საპოლიციო სამართალი“, „დაზღვევის სამართალი“, „საბანკო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „საპროკურორო სამართალი“, „საგამოძიებო სამართალი“ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

2.3. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“ ამოღებული

იქნეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოხდეს მათი მოდიფიკაცია სასწავლო კურსებად: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი“;

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „სამეწარმეო სამართალი“, „შრომის სამართალი“, „აკადემიური წერა“, „კრიმინალისტიკა“ სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით ან სავალდებულო სასწავლო რესურსებს კონკრეტულად მიეთითოს მხოლოდ ის გვერდები, რაც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლისათვის ან სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნეს დამხმარე ლიტერატურაში.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს შინაარსი და გარდა შესრულების კონდიქციისა, მის შინაარსში აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა;
- რეკომენდებულია,სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“-ს შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებულია.

4.3. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, სისტემატურად განახლდეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები უახლესი იურიდიული ლიტერატურით, განსაკუთრებით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსების ნაწილში.

4.4. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის ბიუჯეტში იმ თანხების აკუმულირება, რომელიც საჭიროა თვითშეფასების ანგარიშით/ინტერვიუს შედეგად დადასტურებული აღებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი იყოს გამჭირვალე და ზედმიწევნით იყოს გაწერილი ყველა შემოსავალი და ხარჯი.

5.1. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული კონცენტრაციების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, ცალკე შეფასდეს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა, მათი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფუნქციების გათვალისწინებით, ხოლო ცალკე -

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა როგორც მეტი ობიექტურობის, ისე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის.

5.3. სტანდარტთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება როგორც სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლების, ურთიერთგადაფარვების აღმოფხვრის, სხვა სასწავლო კომპონენტების შეფასების, ისე ანალოგი პროგრამების დადარებისას შინაარსობრივი მხარის გათვალისწინების მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. სტანდარტთან მიმართებით:

- ვინაიდან მიზანი წინასწარი განსაზღვრული „ნიშნულია“, რომელიც შინაარსობრივად დროით განზომილებაში ჯერ განუხორციელებელ, პერსპექტიულ ხედვას მოიაზრებს, სასურველია, პროგრამის მიზნებში სიტყვები „აქვთ“, „შეუძლიათ“, „შეეძლებათ“ შეიცვალოს მოქმედების, საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული შედეგის გამომხატველი სიტყვებით, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს „შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა“, „გამოუმუშავოს სამართლებრივი პრობლემების ანალიზის უნარი“ და ა.შ.

2.1. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, ცოდნა და გაცნობიერებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ხუთი სწავლის შედეგი იგივე ლოგიკით გაერთიანდეს ერთ სწავლის შედეგში, როგორც ეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელშია წარმოდგენილი.

2.3. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, სასწავლო კურსების „სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“, „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები;
- სასურველია, ავტორთა სახელმძღვანელოების ძველი გამოცემები სავალდებულო სასწავლო რესურსებიდან გადატანილი იქნეს დამატებით ლიტერატურაში ან საერთოდ

ამოღებული იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, ვინაიდან ახალი გამოცემებით სრულად არის დაფარული ძველ გამოცემებში განხილული საკითხები;

- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ მისი შინაარსის გათვალისწინებით ეწოდოს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“;
- სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსის „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში“ მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში“ და შინაარსობრივად მოიცვას არა მხოლოდ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით, არამედ ადმინისტრაციული სამართალის მიმართულებითაც, მითუმეტეს, რომ 2020 წელს გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოც პ. ტურავას, მ. კოპალეიშვილის, კ. ყალიჩავას, ი. ხარშილაძის თანაავტორობით - „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით“, თბ., 2020.

2.4. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, განხორციელდეს „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“-ს მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და შინაარსობრივად მოიცვას პრაქტიკული უნარების განვითარება არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებითაც.
- ვინაიდან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა ზოგადად შეფასების მეთოდია, სასურველია სასწავლო კურს „კლინიკა (იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში)“ ეწოდოს „საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული კურსი“-.

2.5. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

4.1. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ქუთაისი, უსდ-მ, სხვა უსდ-ებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა გარანტირებული იყოს პროგრამის მდგრადობა;

- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში ზედმიწევნით გაიწეროს თვითშეფასების ანგარიშით აღებული ვალდებულებები.

5.2. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით გამოყენებულ იქნეს გარე შეფასების ისეთი საშუალებები, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტებისგან გამოხმაურებები, უცხოელი პროფესორების შეფასებები, რეკომენდაციები და სხვა.

5.3. სტანდარტთან მიმართებით:

- სასურველია, ერთი დოკუმენტით დარეგულირდეს სასწავლო პროცესის სრული ციკლი, ამ აქტმა გააერთიანოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო ადმინისტრირების წესი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრის მიერ, გარდა სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისების განხორციელებისა, უზრუნველყოფილია სტუდენტთა ფსიქოლოგიური და სხვა სახის მხარდაჭერა, სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა პანდემიის პარალელურად სასწავლო პროცესის დროს სტუდენტების მხარდასაჭერად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

- **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.**

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" არგუმენტირებული პოზიცია ,,სამართლის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასწორებული იქნა 5.1 სტანდარტის აღწერით მიმოხილვაში დაფიქსირებულ ფაქტობრივი უზუსტობა, კერძოდ, ამოღებული იქნა სიტყვები: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის".

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს მიზნები. პროგრამის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იურისტების მომზადება, რომელთაც: 1. აქვთ სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების ფართო თეორიული ცოდნა, კერძო, სისხლის, საჯარო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა, თეორიებისა და რეგულირების თავისებურებების სიღრმისეული ცოდნა. 2. მიღებული თეორიული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ ჩვევების საფუძველზე შეუძლიათ სამართლებრივი პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სამართლებრივი პოზიციის დასაბუთება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათი სამართლებრივი შეფასება, სამართლებრივი დავის წარმოება, დავის ტაქტიკის განსაზღვრა და პოზიციის დასაბუთება, იურიდიული დოკუმენტების შედგენა, შესაბამისი მითითებით კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავება, საჭირო ინფორმაციის მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილების, მეცნიერების სიახლეების ან/და სასამართლო პრაქტიკის მოძიება და ცოდნის მუდმივად განახლება. 3. მიღებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე შეეძლებათ მუდმივად ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტაცია და სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა. პროგრამის მიზნები, ძირითადად, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რაც გულისხმობს იმას, რომ წაკითხვადია თუ როგორი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. თუმცა, მიზნის უფრო გამართულად ფორმირებისათვის, სასურველია, აქტიური ზმნები სამომავლო პოტენციურად მისაღწევ შედეგზე უფრო აკეთებდეს აქცენტს, ვიდრე მტკიცებით ფორმასა და მიღწეულ შედეგზე.

მაგალითად, არსებული რედაქციის მიხედვით, „პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადება, რომელსაც აქვს სამართლის სისტემის შესახებ .... ფართო თეორიული ცოდნა“ ან „შეუძლიათ სამართლებრივი პრობლემის ანალიზი“... მოცემული ფორმირება, მიზანშეწონილია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს იმგვარი აქტიური ზმნების გამოყენებით, როგორიცაა პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს „შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა“, „გამოუმუშავოს სამართლებრივი პრობლემების ანალიზის უნარი“ და ა.შ. მიზანი წინასწარი განსაზღვრული „ნიშნულია“, რომელიც დროით განზომილებაში, ჯერ განუხორციელებელ, პერსპექტიულ ხედვას მოიაზრებს შინაარსობრივად. შესაბამისად, პროგრამის მიზნები, გაანალიზებული კონტექსტის გათვალისწინებით, გადასახედია.

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია იმ სასწავლო კურსთა ბადის გათვალისწინებით, რომელიც სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. პროგრამის მიზნების მიღწევადობა აკრედიტაციის სტანდარტიებით გათვალისწინებული მე-2 სტანდარტის ფარგლებში არის გაანალიზებული, რამდენადაც მიზნის მიღწევის ფორმები და მეთოდები ხსენებული სტანდარტის ფარგლებში უნდა შემოწმდეს.

პროგრამის მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის მიზნებით დასახული კვალიფიკაციური კადრის მომზადებით, პროგრამა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში.

პროგრამის მიზნების, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ხოლო მისი პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს უსდ-ის მისიის შესრულებას.

პროგრამისა და შესაბამისად, მიზნების შემუშავების ეტაპზე უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის შედეგების ანალიზზე პროგრამაა ბაზირებული. შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი მოიცავს როგორც დასაქმების ბაზრის ძირითადი კომპონენტის კვლევას, ისე განათლების ბაზრის კვლევას. დასაქმების ბაზრის კვლევის თანახმად, შრომის ბაზრის ანალიზი განხორციელებულ იქნა ონლაინ დასაქმების პორტალებზე (www.hr.ge, www.hr.gov.ge) დაკვირვებით და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან მიღებული მონაცემების შესწავლით. მათგან მიღებული მონაცემებით კერძო სექტორში ყოველწლიურად ვაკანსიების მიახლობითი რაოდენობა შეადგენს 300/400 ვაკანსიას. ანალოგიური მაჩვენებლებია საჯარო სექტორში, სტაჟირებების მიახლოებითი მაჩვენებლები 20 დან 35 საშუალოდ წელიწადში. გარდა ამისა ბაზრის კვლევით დადგინდა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა სამართლის სპეციალისტები ქმნიან თავიანთ კერძო ინდივიდუალურ სამართლის ბიუროებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინფორმაციით საქართველოში ამჟამად რეგისტრირებულია 1834 სუბიექტი, რომელიც ახორციელებს იურიდიულ საქმიანობას, (რომელთა უმეტესობას წარმოადგენენ ინდ. მეწარმეებს). რაც შეეხება განათლების ბაზარს, ამ უკანასკნელისთვის შესწავლილი იქნა 2020 და 2021 წლებში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, მათ მიერ

გამოცხადებული მიღებისა და ჩარიცხულ პირთა რაოდენობები. აღნიშნული კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. პროგრამის მიზნებთან მიმართებით, დამატებით, უსდ-ის მიერ გამოყენებულია დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა, გაანალიზებულია გამოკითხვის შედეგები და წარმოდგენილია ანალიზის შედეგების პროგრამასთან მიმართებით გამოყენების ანგარიში. აღსანიშნავია ის, რომ უსდ-ს აქვს ინტერნაციონალიზაციის ხედვა, რომელიც გულისხმობს, სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია; ექსტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. მათ შორის, სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება ისეთი მექანიზმების მეშვეობით, როგორიცაა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, საერთაშორისო აკადემიური მობილობა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოელი ლექტორების ჩართვა. რაც შეეხება ექსტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაციას, იგი გულისხმობს უსდ-ის სტუდენტებისა და პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა აკადემიური და პროფესიული კუთხით მათი განვითარების ხელშეწყობას და შესაბამისი აქტივობებისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას. და ბოლოს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და რიგ შემთხვევაში, წარმატებული სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას, სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებებს შორის კვლევის შედეგების გაზიარებას. საბოლოო ჯამში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია ემსახურება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ კვლევის საერთაშორისო სტანდარტის უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდასა და კვლევითი რეპუტაციის ამაღლებას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე. ბუნებრივია, რომ ინტერნაციონალიზაციის ხედვა პოლიტიკის დოკუმენტია და მთავარია დოკუმენტურად დასახული მიზნების რეალურად განხორციელება, რასაც სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა ესაჭიროება. ქუთაისის უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული 14 ქვეყნის 21 უნივერსიტეტთან. აქედან 4 უნივერსიტეტს აქვს სამართლის პროგრამა და შესაბამისად, არსებობს მათთან ამ დარგშიც თანამშრომლობის პოტენციალი. პროგრამა შემუშავებულია „ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“-ს მიხედვით. პროგრამის მიზნების საჯარო და ხელმისაწვდომია. გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;
- უსდ-ის მისია [https://unik.edu.ge/Mission];
- უსდ-ის ვებგვერდი: https://unik.edu.ge/Course/8;
- საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელის ანგარიში;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან მიზანი წინასწარი განსაზღვრული „ნიშნულია“, რომელიც შინაარსობრივად დროით განზომილებაში ჯერ განუხორციელებელ, პერსპექტიულ ხედვას მოიაზრებს, სასურველია, პროგრამის მიზნებში სიტყვები „აქვთ“, „შეუძლიათ“, „შეეძლებათ“ შეიცვალოს მოქმედების, საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული შედეგის გამომხატველი სიტყვებით, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს „შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა“, „გამოუმუშავოს სამართლებრივი პრობლემების ანალიზის უნარი“ და ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

I - აღწერს სამართლის არსს, სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, სამართლის ნორმათა სტრუქტურას, ფუნქციას და განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს. განსაზღვრავს კონკრეტული სამართლებრივი დავის თავისებურებას და სამართლებრივი საშუალებით მისი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს.
II - აღწერს ადამიანის უფლებათა ძირითად სტანდარტებსა და პრინციპებს, ასევე უფლებების შეზღუდვის საფუძვლებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ საშუალებებს. განმარტავს სახელმწიფოს ცნებას და ფუნქციას, სახელმწიფო მოწყობის სისტემას, პრინციპებს, მათ შორის საქართველოში სახელმწიფო მოწყობის სპეციფიკას, მოდელს, კონსტიტუციური სამართლის ძირითად ასპექტებს, პრინციპებს, თეორიებს, საკონსტიტუციო კონტროლის როლსა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს. განსაზღრავს ადმინისტრაციული ორგანოს არსს, მისი საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკას.
III - აღწერს კერძო სამართლის სისტემას, კერძო სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, სამოქალაქო სამართლის ძირითად ცნებებსა და პრინციპებს, ასევე სანივთო სამართლის, ვალდებულებითი სამართლის, მათ შორის, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, საოჯახო სამართლის, ძირითად საკითხებსა და პრინციპებს. განმარტავს სამეწარმეო თავისუფლების მნიშვნელობასა და არსს, მისი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ საშუალებებს, შრომის უფლებების დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ ინსტრუმენტებს, სამოქალაქო სამართალწარმოების სპეციფიკას.
IV - აღწერს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და ცნებებს, სისხლის სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს, დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლის სამართლის ცალკეულ დანაშაულთა სტრუქტურასა და თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და სპეციფიკას.
V - აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემასა და ფუნდამენტურ პრინციპებს, წყაროებს, საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლის როლს, მნიშვნელობას და მის მიმართებას ეროვნულ სამართალთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების თავისებურებებს. აღწერს საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, მათ შორის, მათ წესებს და პროცედურებს. საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტებს.

უნარი

VI - აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს და ანალიზის შედეგად ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს და ახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას, კონკრეტულ სამართლებრივ დავაში ასაბუთებს პოზიციას, ახდენს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მისი სტანდარტული/ახლებური სამართლებრივი საშუალებებით გადაჭრის გზებს, ადგენს დავის წარმართვის ან/და გადაწყვეტის სტრატეგიას

კანონიერი სამართლებრივი საშუალებებით და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.
VII - ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის კერძო სამართლის ხელშეკრულება/შეთანხმების, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს. ადგენს სარჩელს, საჩივარს. ასევე, შეიმუშავებს კვლევით ან პრაქტიკული პროექტებს, შესაბამისი მითითებებით.
VIII - სამართლის სფეროში ასაბუთებს საკუთარ პოზიციას, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით და სათანადო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
IX - მოიძიებს და აიდენტიფიცირებს იურისტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის ეროვნული სამართლის წყაროებს, საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერულ სიახლეებს, ელექტრონული საშუალებებით და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებისა თუ სპეციალური საინფორმაციო სისტემების გამოყენებით.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

X - აღიარებს იურისტის პროფესიაში, ეთიკური ნორმების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და ცივილიზებული სამყაროს მიერ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. პროფესიულ საქმიანობას წარმართავს იურისტის ეთიკური და პროფესიული ნორმებისა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით.
XI - კოლეგიალურობის პრინციპების გათვალისწინებით, წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად, შეესაბამება პროგრამის, რისი ილუსტრირებისთვისაც, წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები										
	სწავლის შედეგი I	სწავლის შედეგი II	სწავლის შედეგი III	სწავლის შედეგი IV	სწავლის შედეგი V	სწავლის შედეგი VI	სწავლის შედეგი VII	სწავლის შედეგი VIII	სწავლის შედეგი IX	სწავლის შედეგი X	სწავლის შედეგი XI
პროგრამის მიზანი I	X	X	X	X	X						
პროგრამის მიზანი II						X	X	X	X	X	X
პროგრამის მიზანი III						X			X		X

პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკიდან იკვეთება, რომ პროგამის პირველი და მეორე

მიზანი 5-5 პროგრამის სწავლის შედეგზე გადის, ხოლო მესამე მიზანი - სამ შედეგზე.

მოცემული სწავლის შედეგებიდან, შესაძლებელია ცოდნა და გაცნობიერებისკენ მიმართული პირველი ხუთი სწავლის შედეგი იმავე ლოგიკით გაერთიანდეს ერთ სწავლის შედეგში, როგორც ეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელშია წარმოდგენილი, თუმცა, სწავლის შედეგების დიფერენცირებას წარმოდგენილი ფორმით, რა თქმა უნდა, არსებობის უფლება აქვს.

პროგრამის სწავლის შედეგეები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რამდენადაც ის ბაზირებულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების VI საფეხურის დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის სტრქუტურული ფორმირება, სასწავლო კურსები და მათი დროში ლოგიკურად თანმიმდევრული დალაგება არის პროგრამის მიღწევადობისა და რეალისტურობის ერთგვარი გარანტია. რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობას, ის გაზომვადია, რაც უნდა შესრულდეს სწორად გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა და გეგმის მიხედვით.

უსდ პროგრამისა და მისი შედეგების ფორმირების ეტაპზე იყენებდა შრომის ბაზრის, განათლების ბაზრის კვლევისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების ანალიზისი შედეგებს. შრომის ბაზრისა და განათლების ბაზრის კვლევის შედეგები პროგრამის მიზნების აღწერისას გამოყენებული შინაარსის ანალოგიურია. რაც შეეხება დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების ანალიზის შედეგებს, ის ამგვარია: გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო 16-მა პოტენციურმა დამსაქმებელმა. გამოკითხვის ფარგლებში გამოკითხულ იქნა დამსაქმებლები, რომელთა შორის მეტნაკლებად თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი საჯარო და კერძო სექტორი. დამსაქმებლები დეტალურად გაეცნენ პროგრამას და ამის შესაბამისად წარმოდგენილ იქნა შესაბამისი უკუკავშირი. საკვანძო კითხვა პროგრამის შემუშავების ფარგლებში იყო რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს. ამასთან დაკავშირებით დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობა აქცენტს აკეთებს პრაქტიკულ უნარებზე, მუშაობის კულტურაზე, გაკრვეულ გამოცდილებაზე. მეტიც, მოსაზრებებს შორის გვხვდება მითითება იმაზე, რომ თეორიული ცოდნა ხშირ შემთხვევაში ზედმეტიცაა და კურსდამთავრებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს უნარი უმარტივესი დოკუმენტაცია (მაგ. განცხადება) შეადგინოს. ანალიზის შედეგებიდან ირკვევა, რომ პროგრამა მაქსიმალურად არის გაძლიერებული პრაქტიკული კომპონენტებით, პრაქტიკული ელემენტები ასახულია არა მხოლოდ ცალკეულ თეორიულ საგნებში, არამედ იურიდიული პრატიკა არის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, შესაბამისად პროგრამის კურდამთავრებულს უკვე ექნება პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, რაც უთუოდ ეხმიანება გამოკითხვის ფარგლებში გამოთქმულ პოზიციას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, მიღწევის

შემთხვევაში, იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია კი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. რამდენადაც პროგრამა ახალია, ის ვერ ფასდება ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორიც პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების, კურსდამთავრებულთა შემდეგ საფეხურზე გადასვლის მაჩვენებელი და სასერტიფიკატო გამოცდის შედეგებია.

იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგი გაიზომოს, უნდა არსებობდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფაების პროცესი, რომელიც მოიცავს საჭირო მონაცემთა განაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზსს. სააკრედიტაციო პროცესში, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მექანიზმებად. პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის კომპონენტების რუკის (კურიკულუმის რუკა) მიხედვით, პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგზე ე.წ. მაღალი (High) დონით, ერთი სასწავლო კურსი მაინც გადის. არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებია სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. თუმცა, განსაკუთრებული მნიშვნელობის არის პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, რითიც უნდა გაიზომოს პროგრამის სწავლის შედეგი რამდენად იქნა მიღწეული. პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ფორმას, მეთოდს, გეგმასა და სამიზნე ნიშნულს.

პროგრამის სწავლის შედეგი, ძირითადად, ფასდება იმ სასწავლო კურსებით, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით, ხდება პროგრამის სწავლის შედეგის განმტკიცება - განმტკიცება სააკრედიტაციო დოკუმენტებში, ერთგვარად, ჩანაცვლებულია სიტყვით „მაღალი“. პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისათვის, სავალდებულო სასწავლო ე.წ. განმამტკიცებელი სასწავლო კურსიდან გამოყენებულ უნდა იქნეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სამეწარმეო სამართალი“ ერთ-ერთი სწავლის შედეგია „შეიმუშავებს წესდებას, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას/ოქმს“, რომელიც კონკრეტულად, გადის, მაგალითად, პროგრამის მე-7 შედეგზე: „ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის კერძო სამართლის ხელშეკრულება/შეთანხმების, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს. ადგენს სარჩელს, საჩივარს. ასევე, შეიმუშავებს კვლევით ან პრაქტიკული პროექტებს, შესაბამისი მითითებებით.“ იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის მე-7 შედეგის კონკრეტული ნაწილი შეფასდეს, სასწავლო კურსიდან „სამეწარმეო სამართალი“ უნდა ავიღოთ იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომას მას, ანუ ამოწმებს შეუძლია თუ არა სტუდენტს შეიმუშავოს წესდება, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილბა ან ოქმი. თავად სასწავლო კურსის შეფასების ფორმებსდა კომპონენტებში, შუალედური შეფასების შემადგენლობაში, წარმოდგენილია ორი პრაქტიკული დავალება, საიდანაც ერთი მიემართება წესდების შედგენას, ხოლო მეორე - პარტნიორთა კრების ოქმის მომზადებას. შესაბამისად, პროგრამის სწავლის

შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ეს ორივე დავალება და მათში მიღებული შეფასება იმისათვის, რომ შეფასდეს პროგრამის ზემოთ ხსენებული სწავლის შედეგის კონკრეტული ნაწილი. ამ მოცემულობაში, დასკვნითი გამოცდის ეტაპზე მიღებული შეფასება არ გამოდგება პროგრამის მე-7 სწავლის შედეგის შესაფასებლად, რამდენადაც დასკვნითი გამოცდა კიდევ უფრო მეტ უნარსა და ცოდნას ამოწმებს, ვიდრე ეს კონკრეტული შედეგი მოიცავს. თავის მხრივ, პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსის კონკრეტული დავალებით შეფასების სრულყოფისათვის, აუცილებელია ამ დავალებას განესაზღვროს სამიზნე ნიშნული. თითოეული სწავლის შედეგისათვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს იმ მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები კონკრეტულ სწავლის შედეგს. რამდენადაც მაგალითად მოტანილი სასწავლო კურსის შუალედური ერთი პრაქტიკული დავალება ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, სამიზნე ნიშნული შეიძლება განისაზღვროს, პირობითად, ის, რომ თუ სტუდენტთა 75% მიიღების 6-დან 10 ქულამდე შეფასებას, მაშინ შედეგი მიღწეულად ჩაითვლებას. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი ასევე უნდა მოიცავდეს შეფასების პერიოდსა და სუბიექტს, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი აღნიშნულ შეფასებაზე.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი მექანიზმი, ხსენებული მაგალითის საფუძველზე რომ განივრცოს, პროგრამის სწავლის მე-7 შედეგის შესაფასებლად, სხვა სასწავლო კურსებთან ერთად, განსაზღვრავს „სამეწარმეო სამართალს“, თუმცა, შეფასების ფორმად (რაც მექანიზმიდან უბრალოდ იკვეთება, თორემ ის ცალკე, როგორც ფორმა, არ არის განსაზღვრული) წარმოდგენილია არა სასწავლო კურსის სილაბუსითვე განსაზღვრული პრაქტიკული დავალება, არამედ დასკვნითი გამოცდა, რომელიც მის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემული დაკონკრეტებით მოიცავს კაზუსს, ტესტს, თეორიულ საკითხს (იხ. საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #4, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, გვ. 19). შესაბამისად, პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი არ და ვერ შეფასდება იმ ფორმით, რაც სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტშია წარმოდგენილი. აბსოლუტურ უმრავლესობაში ანალოგიურად არის დასკვნითი გამოცდა მითითებული შესაბამისი დაკონკრეტებით, რაც მექანიზმის დახვეწის საჭიროებას უფრო მეტად წარმოაჩენს, ვიდრე შეფასების მექანიზმის სრილფასოვნებას. ამასთან ერთად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში არ არის გათვალისწინებული ის პასუხისმგებელი პირი, რომელიც შეაგროვებს სათანადო მონაცემებს შემდგომი ანალიზის მიზნით მიუხედავად იმისა, რომ ზოგად მეთოდოლოგიაშია ასეთ პირად მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი - მეთოდოლოგია არის ის, რაც კონკრეტული პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა შეფასების დროის განსაზღვრა. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტით, შეფასების გრაფიკად აღებული სრულად სასწავლო წელი და არა სემესტრი. სასურველია, რომ კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსის შეფასების დროდ აღებულ იქნეს სასწავლო კურსის დასრულების მომდევნო სემესტრი. შეფასების გრაფიკის დახვეწის საჭიროება იქიდანაც იკვეთება, რომ, მაგალითად, სასწავლო კურსი „სამეწარმეო სამართალი“, პროგრამის მეშვიდე სწავლის შედეგთან მიმართებით, წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით, უნდა შეფასდეს მეორე წელს მაშინ, როცა ის, სასწავლო გეგმით, შეთავაზებული მეექვსე სემესტრში.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგადსაუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების

მეთპოდოლოგიაზეც, რომელზედაც ბაზირებულია ზემოთ განხილული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასების ხუთი დონეა წარმოდგენილი: სრულიად არ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, სრულიად აკმაყოფილებს. მეთოლოგიის მიხედვით, აღნიშნული პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან, \უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საყურადღებოდ ითვლება შემდეგი სახის შედეგები:

შეფასების 5 დონის არსებობის შემთხვევაში:

1. შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „სრულიად არ აკმაყოფილებს“ ან „არ აკმაყოფილებს“.
2. შემოწმებული ნაშრომების 90%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „აკმაყოფილებს“ და მხოლოდ 10% და ნაკლები - შეფასების დონით „მეტწილად აკმაყოფილებს“ და/ან „სრულიად აკმაყოფილებს“.

მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია განმარტება, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა ან მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა.

პირდაპირი მეთოდით (II) შეფასების დროს, ზემოაღნიშნული საყურადღებო შემთხვევების გარდა ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ სასწავლო კომპონენტი და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა გადის შესაბამისი სასწავლო კომპონენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებზე და არ დგას სასწავლო კომპონენტისა და / ან საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება.

შეფასების ეს მეთოდოლოგია, შინაარსობრივად, უფრო მეტად ჰგავს ე.წ. გაუსის სისტემის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზს, ვიდრე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას. წარმოდგენილი 10 და 90 პროცენტიანი ზღვარი არ და ვერ გამოდგება იმ სამიზნე ნიშნულად, რა შინაარსითაც სამიზნე ნიშნული ზემოთ იქნა განმარტებული. მაგალითად, მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა, თუ შემოწმებული ნაშრომების 10% ან მასზე ნაკლები მიიღებს შეფასებას „მეტწილად აკმაყოფილებს“ ან „სრულიად აკმაყოფილებს.“ ისმის კითხვა, თუ სტუდენტთა 9 პროცენტმა ე.წ. შეფასების ზემოთხსენებული სისტემით, მიიღო შეფასება „სრულიად აკმაყოფილებს,“ ანუ, სამართლის პროგრამის კონკრეტული შედეგი რომ იქნეს აღებული, მაგალითად, „სრულად აღიარებს ეთიკური ნორმების მნიშვნელობას და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და საყოველთადო აღიარებულ პრინციპებს“, ეს პროგრამის სწავლის კონკრეტულ მე-10 შედეგს რატომ აფასებს როგორც მიუღწეველ ან მეტწილად მიუღწეველ შედეგად, რომელიც საჭიროებს მიზეზების კვლევას?! წარმოდგენილი მეთოდოლოგიისა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი ამ მიმართულებითაც ბუნდოვანია და არ შეიცავს მკაფიო ფორმულირებებს, რომელთა დაყრდნობითც შესაძლებელი იქნება (სამომავლოდ) პროგრამის სწავლის შედეგების

პირდაპირი მექანიზმით შეფასება. ასევე, ბუნდოვანია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ხუთდონიანი დაყოფის დროს, მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შემფასებელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და როგორც უნდა შეაფასოს კონკრეტული სწავლის შედეგის აკმაყოფილებს, ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს თუ სრულიად აკმაყოფილებს? ანუ, უნდა შეფასდეს „სრულად აღიარებს ეთიკური ნორმების მნიშვნელობას და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და საყოველთადო აღიარებულ პრინციპებს“ თუ „აღიარებს ეთიკური ნორმების მნიშვნელობას და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და საყოველთადო აღიარებულ პრინციპებს, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, უმნიშვნელოდ უგულველყოფს ეთიკის ნორმების მოთხოვნებს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების სისტემა და პერიოდულობა ნაკლებად ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და არ მოიცავს იმგვარ ადეკვატურ ფორმებს, რაც სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. ასევე, პროგრამას არ აქვს სამიზნე ნიშნულები განსაზღრული თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მონიტორინგის დროს მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულთან დასადარებლად.

შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების როგორც მეთოდოლოგია, ისე კონკრეტულად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი უნდა გადაიხედოს და დაიხვეწოს ის ასპექტები, რაც ზემოთ იქნა განმარტებული.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ძირითადად, იცნობს სწავლის შედეგების შეფასების უსდ-ში არსებულ მეთოდებს და იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენისას. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ანალიზი არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ვერც მისი გამოყენება მოხდებოდა პროგრამის მოდიფიცირების საჭიროების მიზნით. თუმცა, წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რაც გამოყენებულ იქნა პროგრამის შემუშვების პროცესში გარკვეული ცვლილებების განხორციელებისა და პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- უდ-ის ვებგვერდი: https://www.unik.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების როგორც მეთოდოლოგია, ისე კონკრეტულად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დოკუმენტი) გადაიხედოს და დაიხვეწოს, რათა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა დასკვნითი შეფასების ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, ცოდნა და გაცნობიერებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ხუთი სწავლის შედეგი იგივე ლოგიკით გაერთიანდეს ერთ სწავლის შედეგში, როგორც ეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელშია წარმოდგენილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	✓			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია საბაკალავრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ქუთაისის უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: • ქართული ენა და ლიტერატურა; • უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა); • მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება. ამასთან, თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ადგილების გამოცხადებამდე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარია კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშით პროგრამაზე დაიშვებიან პირებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე, თუ ისინი დაადასტურებენ ქართული ენის B2 დონეზე ფლობას, ასევე მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები, აღნიშნული წინაპირობები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ყველა წინაპირობა აისახოს უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში, თუნდაც მითითებითი ნორმების სახით.

საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა ასახულია შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასახულია 2021-2022 აკადემიური წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგშიც, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი; https://unik.edu.ge/PagePDF/132e52dd6e1658338bc82ebb3bffc70c.pdf
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია ასახულია 2021-2022 აკადემიური წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის

ვებგვერდზე https://www.unik.edu.ge/PagePDF/bf780b4e89150c2d9894f1d795e8d74f.pdf ;

- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს არა მხოლოდ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, არამედ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ყველა სხვა წინაპირობა თუნდაც მითითებითი ნორმების სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“-ს შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურებს. ასევე, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის აქტუალობას, პროგრამის მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობებს, პროგრამის მოცულობას, პროგრამის სტრუქტურას, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, პრაქტიკის შეფასებას, დასაქმების სფეროს, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. პროგრამას თან ახლავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 1), საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2), სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (დანართი 3), პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4), სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა (დანართი 5), პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნუსხა (დანართი 6).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება

- სავალდებულო თავისუფალი კომპონენტისგან (30 ECTS);
- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებისგან (156 ECTS);
- კონცენტრაციის სასწავლო კურსებისგან (30 ECTS).
- არჩევითი თავისუფალი კომპონენტისგან (24 ECTS).

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი (30 ECTS)

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს. სავალდებულო თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა 20 კრედიტის ოდებობით 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში, რაც მიმართულია

ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ასევე ინგლისურენოვანი წყაროების მოძიებასა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე.

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტები ასევე შეისწავლიან აკადემიური წერის ძირითად და საკვანძო პრინციპებს, აკადემიური ტექსტის გაფორმების ხერხებს, ციტირების, პერიფრაზის, გამოყენებული ლიტერატურისა თუ სხვა წყაროების დამოწმების ზოგად წესებს და გამოიმუშავებენ აკადემიური ტექსტის შექმნის, ასევე თანამედროვე ოფისში სამუშაოდ აუცილებელ პროგრამებთან, მათ შორის, იურისტის პროფესიასთან დაკავშირებულ საძიებო სისტემებთან მუშაობის უნარებს.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (156 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო (152 ECTS) და არჩევითი (4 ECTS) სასწავლო კურსების სახით.

კონცენტრაციის სასწავლო კურსები (30 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ოთხი კონცენტრაცია, რაც გულისხმობს სამართლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების დაჯგუფებას საჯარო სამართალის, კერძო სამართალის, სისხლის სამართალის და საერთაშორისო სამართალის ფოკუსირებით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ოთხი კონცენტრაციიდან სტუდენტი უნდა აირჩიოს ერთ-ერთს. თითოეული კონცენტრაცია წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით. ამასთან, კონცენტრაციით განსაზღვრული კრედიტების მოცულობა სტუდენტმა უნდა აითვისოს სრულად.

არჩევითი თავისუფალი კომპონენტები (24 ECTS)

არჩევითი თავისუფალი კომპონენტი მოიცავს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსებს, რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს (შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით), მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. არჩევითი თავისუფალი კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტები სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზეც.

პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, რეკომენდებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოდიფიცირებული იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში,

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ კონცენტრაციებს უნდა გააჩნდეთ სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებულია უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებშიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები უმეტესწილად თანმიმდევრულად და სტრუქტურულად არის კონსტრუირებული. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული წინაპირობებით.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები არ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითად:

- სავალდებულო სასწავლო კურსს „საერთაშორისო საჯარო სამართალს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ და „შესავალი სამართლისმცოდნეობაში“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო კურსი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“;
- სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“ და „საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო კურსი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“;
- არჩევითი სასწავლო კურსი „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, სასწავლო კურსის თემატიკის გათვალისწინებით, არ საჭიროებს დაშვების წინაპირობას სასწავლო კურსის „შესავალი სამართლისმცოდნეობაში“ სახით;
- არჩევით სასწავლო კურსს „საპოლიციო სამართალს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“ და „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)“;
- არჩევით სასწავლო კურსს „დაზღვევის სამართალს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სამეწარმეო სამართალი“ და „გადახდისუუნარობის სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“;
- არჩევით სასწავლო კურსს „საბანკო სამართალს“ დაშვების წინაპირობად

განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სამეწარმეო სამართალი“ და „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“;

- არჩევით სასწავლო კურსს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“ და „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“;
- არჩევით სასწავლო კურსებს „საპროკურორო სამართალი“ და „საგამოძიებო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვთ სასწავლო კურსები „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“ და „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსებს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროთ მხოლოდ სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)“;
- არჩევით სასწავლო კურსებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „საერთაშორისო თანამშრომლობა სიხლის სამართალში“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „ინგლისური ენა 4 (B2.2)“-ის ნაცვლად უნდა განესაზღვროთ სავალდებულო სასწავლო კურსი „ინგლისური ენა იურისტებისთვის“.

რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „საპოლიციო სამართალი“, „დაზღვევის სამართალი“, „საბანკო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „საპროკურორო სამართალი“, „საგამოძიებო სამართალი“ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

აღნიშნულის მიუხედავად, მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რომელი სასწავლო კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკით ჩანს, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარულია.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მთლიანობაში შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის ბაკალავრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით და სხვა დოკუმენტებით.

უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები, როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები (შესაბამისი კითხვარები, ოქმები, მიმოწერა და სხვა დოკუმენტები);
- უსდ-ის ვებგვერდი https://www.unik.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოდიფიცირებული იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ კონცენტრაციებს უნდა გააჩნდეთ სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებშიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნათა შესაბამისად;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი II“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „საპოლიციო სამართალი“, „დაზღვევის სამართალი“, „საბანკო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „საპროკურორო სამართალი“, „საგამოძიებო

სამართალი“ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „საერთაშორისო სისხლის სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა ძირითადად კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობა და სირთულე გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის

შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებულია საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია პროგრამის რომელი სწავლის შედეგი ძირითადი სწავლის სფეროს რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული არჩევითი სასწავლო კურსის, სავალდებულო თავისუფალ კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსებისა და კონცენტრაციებში შემავალი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება ეროვნული საკვალიფკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფკაციათა აღმწერს. მათი ერთობლიობა მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის დასრულებისას. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება საჯარო სამართლის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსი „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, კერძო სამართლის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსი „შედარებითი კერძო სამართალი“ და სისხლის სამართლის კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსი „შედარებითი სისხლის სამართალი“.

რეკომენდებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“ ამოღებული იქნეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოხდეს მათი მოდიფიკაცია სასწავლო კურსებად: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი“.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლის შედეგები შეფასებადია. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის

შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეთავზებული აქვთ არჩევითი სასწავლო კურსები: International Criminal Law, Case Law of the European Court of Human Rights, European Union Law, International Treaty Law, რაც მისასალმებელია.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მთლიანობაში ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, როგორც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო რესურსების ანალიზმა ცხადყო, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსები განახლდეს უახლესი გამოცემებით ან/და შეივსოს თანამედროვე სასწავლო რესურსებით. მაგალითად:

- სავალდებულო სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი)“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - ავტორთა ჯგუფი, რედ.: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, თბ., 2019;
- სავალდებულო სასწავლო კურსებში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“ და „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, მე-6 გამოცემა, თბ., 2020;
- სავალდებულო სასწავლო კურსში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეექვსე გამოცემა, თბ., 2022.
- სავალდებულო სასწავლო კურსში „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭიღლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2020. ამასთან, აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული უნდა იქნეს ვ. გონაშვილის, ქ. ერემაძის, გ. თევდორაშვილის, გ. კახიანის, გ. კვერენჩხილაძის, ნ. ჭიღლაძის თანაავტორობით

შემუშავებული სახელმძღვანელო „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016“, ვინაიდან აღნიშნული სახელმძღვანელო გამოყენებულია სასწავლო კურსის „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“ სწავლებისას და ამ სასწავლო კურსის თემატიკასთან მიმართებით მისი გამოყენება ირელევენტურია;

- არჩევით სასწავლო კურსში „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - დ. გეფერიძე ა. ხაზალია, თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, თბ., 2020.
- არჩევით სასწავლო კურსში „საგადასახადო სამართალი“ მითითებული სავალდებულო ლიტერატურა 2012 წელს გამოცემული საქართველოს საგადასახადო კოდექსის ორტომიანი კომენტარების სახით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი უამრავი ცვლილებების გათვალისწინებით, საკმაოდ მოძველებულია. სასურველია განახლდეს აღნიშნული სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა უახლესი გამოცემებით, მაგალითად, ი. ხარაზის, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020 და სხვ.
- არჩევით სასწავლო კურსში „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად 2012-2014 წლების სახელმძღვანელოების ნაცვლად სასურველია გამოყენებული იქნეს უახლესი სახელმძღვანელო - ნ. პაპუკაშვილის, მუნიციპალური სამართალი, პირველი გამოცემა, თბ., 2022.
- არჩევით სასწავლო კურსში „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად სასურველია გამოყენებული იქნეს შედარებით ახლესი სახელმძღვანელოც - ე. მამალაძის, გ. მჭედლიშვილის, ნ. დათეშიძის (შემდგენლები), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე, თბ., 2020.
- არჩევით სასწავლო კურსის „გადახდისუუნარობის სამართალი“-ს სილაბუსიდან ამოსაღებია ნორმატიული აქტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონი, როგორც ძალადაკარგული.

სასურველია, სასწავლო კურსების „სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“, „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სახელმძღვანელოს როგორც ახალი, გადამუშავებული და შევსებული გამოცემები, ასევე შედარებით ძველი გამოცემები. მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსის „სანივთო სამართალი“-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია თ. ზარანდიას როგორც 2019 წლის სახელმძღვანელო - სანივთო სამართალი, ასევე 2016 წლის სახელმძღვანელო - სანივთო

სამართლის საფუძვლები. ანალოგიური სიტუაციაა სავალდებულო სასწავლო კურსის „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“-ს სილაბუსშიც. სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია რ. შენგელიას, ე. შენგელიას როგორც 2015 წლის სახელმძღვანელო - მემკვიდრეობის სამართალი, ასევე 2019 წლის სახელმძღვანელო - საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა).

სასურველია, ავტორთა სახელმძღვანელოების ძველი გამოცემები სავალდებულო სასწავლო რესურსებიდან გადატანილი იქნეს დამატებით ლიტერატურაში ან საერთოდ ამოღებული იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, ვინაიდან ახალი გამოცემებით სრულად არის დაფარული ძველ გამოცემებში განხილული საკითხები.

სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში გამოყენებულია საკმაოდ დიდი მოცულობის სავალდებულო სასწავლო რესურსები, რაც აშკარა არ შეესაბამება სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობას, მაგალითად:

- არჩევითი სასწავლო კურსის „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“-ს სილაბუსით სავალდებულო ლიტერატურად გათვალისწინებულია 42 სასწავლო რესურსი, მათ შორის სახელმძღვანელოები, ინგლისურენოვანი კომენტარები, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, კვლევები, ქართულ და ინგლისურ ენებზე სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა. აშკარაა, რომ 4 კრედიტიანი სასწავლო კურსის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტისთვის დასაძლევად აშკარად არარიალისტურია;
- შესამცირებელია სხვა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებიც. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: სავალდებულო სასწავლო კურსი „სამეწარმეო სამართალი“ (სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული 13 წყაროდან 7 საკმაოდ მოცულობით სახელმძღვანელოს წარმოადგენს), სავალდებულო სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“ (სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული 10 ნორმატიული აქტისა და 5 სასამართლოს გადაწყვეტილების გარდა სტუდენტს მოუწევს გაეცნოს 12 სხვა სავალდებულო სასწავლო რესურსს, მათ შორის სახელმძღვანელოებსაც), სავალდებულო სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ (სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული აკადემიური წერის 5 მოცულობითი სახელმძღვანელო ყოველგვარი გვერდების მითითების გარეშე), სასწავლო კურსი „კრიმინალისტიკა“ (სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული 2000-2013 წლებში გამოცემული 6 საკმაოდ მოცულობით სახელმძღვანელო).

რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „სამეწარმეო სამართალი“, „შრომის სამართალი“, „აკადემიური წერა“, „კრიმინალისტიკა“ სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით ან სავალდებულო სასწავლო რესურსებს კონკრეტულად მიეთითოს მხოლოდ ის გვერდები, რაც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლისათვის ან სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნეს დამხმარე ლიტერატურაში.

სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსის შინაარსში გარკვეული ცვლილებებს ან საერთოდ მოდიფიკაციასაც კი საჭიროებს, მაგალითად:

- სავალდებულო სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს სილაბუსის შინაარსში გარდა შესრულების კონდიქციისა, მნიშვნელოვანია აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“-ს სილაბუსი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გარდა ითვალისწინებს ნარკოტიკული დანაშაულის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ასევე კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სწავლებას. შესაბამისად, სასწავლო კურსის დასახელება არ შეესაბამება მის შინაარსს. სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებული იქნება;
- არჩევითი სასწავლო კურსის „სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკის“ სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებს არა მხოლოდ სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკის სწავლებას, არამედ შრომითი ხელშეკრულების შედგენის სწავლებასაც. შესაბამისად, საჭიროა შეიცვალოს სასწავლო კურსის დასახელება და მას ეწოდოს, მაგალითად, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“.
- საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში“ წარმოდგენილია საჯარო სამართლის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. აღნიშნული კონცენტრაციისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტმა შეისწავლოს არა მხოლოდ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის ძირითად უფლებათა მიმართულებით, არამედ ადმინისტრაციული სამართალის მიმართულებითაც.

რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს შინაარსი და გარდა შესრულების კონდიქციისა, მის შინაარსში აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა.

რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“-ს შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებულია.

სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ მისი შინაარსის გათვალისწინებით ეწოდოს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“.

სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსის „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში“ მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში“ და შინაარსობრივად მოიცვას არა მხოლოდ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით, არამედ ადმინისტრაციული სამართალის მიმართულებითაც, მითუმეტეს, რომ 2020 წელს გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოც პ. ტურავას, მ. კოპალეიშვილის, კ. ყალიჩავას, ი. ხარშილაძის თანაავტორობით - „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით“, თბ., 2020.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვება, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსი განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის განმახორციელებლები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგების შეფასების სისტემას;
- საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა www.e.unik.ge
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართალი“ ამოღებული

იქნეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოხდეს მათი მოდიფიკაცია სასწავლო კურსებად: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი“;

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი“, „სამეწარმეო სამართალი“, „შრომის სამართალი“, „აკადემიური წერა“, „კრიმინალისტიკა“ სავალდებულო სასწავლო რესურსების მოცულობა სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით ან სავალდებულო სასწავლო რესურსებს კონკრეტულად მიეთითოს მხოლოდ ის გვერდები, რაც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლისათვის ან სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნეს დამხმარე ლიტერატურაში;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს შინაარსი და გარდა შესრულების კონდიქციისა, მის შინაარსში აისახოს სხვა კონდიქციებიც, ასევე, სოლიდარული პასუხისმგებლობა და დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა;
- რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“-ს შინაარსიდან ნარკოტიკული დანაშაული და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გადატანილი იქნეს სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ შინაარსში, რაც მეთოდურადაც უფრო გამართლებულია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების „სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“, „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები;
- სასურველია ავტორთა სახელმძღვანელოების ძველი გამოცემები სავალდებულო სასწავლო რესურსებიდან გადატანილი იქნეს დამატებით ლიტერატურაში ან საერთოდ ამოღებული იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, ვინაიდან ახალი გამოცემებით სრულად არის დაფარული ძველ გამოცემებში განხილული საკითხები;
- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „სამოქალაქო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ მისი შინაარსის გათვალისწინებით ეწოდოს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“.
- სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსის „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში“ მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში“ და შინაარსობრივად მოიცვას არა მხოლოდ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის

ძირითადი უფლებების მიმართულებით, არამედ ადმინისტრაციული სამართალის მიმართულებითაც, მითუმეტეს, რომ 2020 წელს გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოც პ. ტურავას, მ. კოპალეიშვილის, კ. ყალიჩავას, ი. ხარშილაძის თანაავტორობით - „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშით“, თბ., 2020.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა წარმოდგენილია თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის და იურიდიული პრაქტიკის თანმიმდევრული განხორციელების სახით. პრაქტიკის კომპონენტები ჩაშენებულია ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის არჩევით კონცენტრაციებში პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების სახით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“, „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“, „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „კლინიკა (იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში)“. როგორც აღინიშნა საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა,

ჩაშენებულია თეორიულ კურსებში. ამ შემთხვევაში პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პრაქტიკის აღნიშნული მოდელის მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი აქვს. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება:

- სამოქალაქო საპროცესო სამართალი II (სტუდენტი შეიმუშავებს საპროცესო დოკუმენტებს (სარჩელი, საჩივარი); მონაწილეობს იმიტირებული სასამართლო პროცესში);
- „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“ (სტუდენტი ადგენს ცალკეული სამოქალაქო ხელშეკრულების პროექტებს);
- „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II - ადმინისტრაციული წარმოება“ (სტუდენტი ადგენს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ძირითად სამართლებრივ დოკუმენტებს და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მონაწილეობს იმიტირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში);
- „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ (სტუდენტი ამზადებს ადმინისტრაციულ სარჩელს და შუამდგომლობებს; მონაწილეობს იმიტირებულ პროცესში);
- „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“ (სტუდენტი მონაწილეობს იმიტირებულ დისციპლინურ პროცესში);
- „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ (სტუდენტი შეიმუშავებს კონსტიტციური სამართალწარმოების სფეროში ცალკეულ იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს; მონაწილეობს იმიტირებულ სასამართლო პროცესში);
- „სამეწარმეო სამართალი“ (სტუდენტი შეიმუშავებს წესდებას, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას/ოქმს);
- სისხლის საპროცესო სამართალი, ზოგადი ნაწილი (სტუდენტი ადგენს საპროცესო დოკუმენტებს);
- სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი (სტუდენტი ადგენს საპროცესო დოკუმენტებს).

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ასევე იურიდიული პრაქტიკის სახით, სადაც სტუდენტი ახდენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამებას.

იურიდიული პრაქტიკა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია (10 ECTS).

იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი დეტალურად აღწერს იურიდიული პრაქტიკის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, პრაქტიკის ორგანიზების საკითხებს, ასევე პრაქტიკის კომპონენტის შინაარსს. იმისათვის, რომ იურიდიული პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იურიდიული პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის, იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი ითვალისწინებდეს ასევე იურიდიული პრაქტიკის გეგმას, რაც გულისხმობს ყოველკვირეულად პრაქტიკის ადგილზე განსახორციელებელი აქტივობების

შინაარსს.

იურიდიული პრაქტიკის მიზნებია:

- სტუდენტის მიერ საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პროფესიული ადაპტაცია/ორიენტაცია;
- იურისტის პროფესიის შესახებ მაქსიმალურად რეალური წარმოდგენის შექმნა;
- კოლეგებთან და სხვა პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენა.

პრაქტიკული სწავლების პროცესი შედგება საკონტაქტო (პრაქტიკა ობიექტზე მენტორთან მუშაობა, პრაქტიკის ხელმძღვანელთან მუშაობა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვა) და დამოუკიდებელი მუშაობისგან. ამრიგად, პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, მენტორთან უშუალო მუშაობის, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულების და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით.

პრაქტიკას ხელმძღვანელობს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება ბაკალავრებს პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად ჩატარებას.

პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა უშუალო ზედამხედვე-ლობას.

პრაქტიკის დროს სტუდენტმა უნდა დაივას მიმღები დაწესებულების შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები, შეასრულოს კონკრეტულო სამუშაოს და აწარმოოს პრაქტიკის დღიური პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითების შესაბამისად; შეადგენოს პრაქტიკის ანგარიში, რომლის დაცვა ხდება პრაქტიკის დასრულების შემდეგ.

პრაქტიკის პროცესი მოიცავს:

- პრაქტიკის დაწყებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი შეხვედრის ორგანიზებას და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტების ინფორმირებას პრაქტიკის მნიშვნელობისა და დანიშნულების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების, პრაქტიკის გავლის ადგილის და განრიგის, შესასრულებელი სამუშაოს შინაარსისა და მოცულობის შესახებ;
- პრაქტიკის გავლის ადგილზე სტუდენტთან გასაუბრების ორგანიზებას და მენტორის მიერ პრაქტიკის ადგილის გაცნობას;
- მენტორის მიერ სტუდენტის სამუშაო პროცესში ჩართვას, ყოველდღიური ჩანაწერების (პრაქტიკის დღიურის) წარმოების შემოწმებას, ზედამხედველობას მის საქმიანობაზე;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტებისთვის კონსულტაციების ჩატარებას,

მიმღებ ორგანიზაციაში ვიზიტს და პრაქტიკის განხორციელების და სტუდენტების მუშაობის პერიოდულ შემოწმებას;

- პრაქტიკის ანგარიშის მომზადებას;
- პრაქტიკის დასკვნითი შეფასებას.

პრაქტიკის პროცესში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა პრაქტიკის დღიურში, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში. პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს დეტალურ აღწერას და კომპეტენციების განვითარების ცხრილს, სადაც სტუდენტი შეიტანს ჩანაწერებს იმის შესახებ, თუ რომელი კონკრეტული კომპეტენციები განუვითარდა და რომელი სამუშაოს შესრულებამ შეუწყო ხელი მათ განვითარებაში. პრაქტიკის დღიურის თითოეული ფურცელი დამოწმებული უნდა იყოს მენტორის ხელმოწერით. პრაქტიკის დღიური ერთვის პრაქტიკის ანგარიშს დანართის სახით.

პრაქტიკის ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური წერის სტანდარტებს. ანგარიში არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს და შესრულდეს Sylfaen-ის ფონტში, ინტერვალი -1.5, შრიფტი - 12.

პრაქტიკის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- დაწესებულების აღწერას და საქმიანობის სფეროს;
- სტუდენტის ადგილს და როლს კონკრეტულ დაწესებულებაში;
- სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის/პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენების გზებს;
- სტუდენტის მიერ პრაქტიკის ფარგლებში დახარჯულ დროით რესურს;
- სტუდენტის მოლოდინებს პრაქტიკის შესახებ და რეალობას;
- სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაების აღწერილობას და შედეგებს;
- სტუდენტის რეკომენდაციებს არსებული სამუშაოს სრულყოფისთვის. რეკომენდაციები უნდა იყოს დასაბუთებული შესაბამისი არგუმენტაციით;
- კოლეგებისა და თანამშრომლების დამოკიდებულებას სტუდენტის მიმართ.

ანგარიში უნდა ჰქონდეს თავფურცელი, სარჩევი და წარმოდგენილი უნდა იყოს აკინძული ფორმით. მასვე უნდა დაერთოს პრაქტიკის დამსაქმებლის შეფასება.

პრაქტიკული სწავლების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი იურიდიული პრაქტიკის სილაბუსში.

იურიდიულ პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ის მიერ შერჩეულია პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური 11 პარტნიორი ორგანიზაცია და 5 ადვოკატთა ასოციაციის წევრი, კერძოდ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, ხონის

მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იურიდიული დახმარების სამსახური, საადვოკატო ბიურო „ვეტო“, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“, ა(ა)იპ „იურისტთა ასოციაცია“, ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი“, ადვოკატთა ასოციაციის წევრი ბელა ბერაძე, ადვოკატთა ასოციაციის წევრი დალი სულაქველიძე, ადვოკატთა ასოციაციის წევრი მარინა მანგოშვილი, ადვოკატთა ასოციაციის წევრი ნანა სოხაძე, ადვოკატთა ასოციაციის წევრი ნორ მურღულია.

პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით, რომლებიც აღწერენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები ითვალისწინებს სემესტრის განმავლობაში მიმღებ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას.

ზემოაღნიშნული პრაქტიკული კომპონენტების გარდა, პრაქტიკის კომპონენტი ასევე წარმოდგენილია საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის არჩევით კონცენტრაციებში პრაქტიკის ოთხი დამოუკიდებელი კურსის სახით, საიდანაც სტუდენტი საკუთარი არჩევანის საფუძველზე გაივლის მხოლოდ ერთს. პრაქტიკული კურსები სტუდენტებს შეეთავაზებათ პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-7-მე-8 სემესტრებში. აღნიშნული კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

საგანმანათლებლო პროგრამაში „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“ წარმოდგენილია საჯარო სამართლის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. აღნიშნული კონცენტრაციისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტმა გამოიმუშავოს და განიმტკიცოს პრაქტიკული უნარები არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებითაც.

სასურველია, განხორციელდეს „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“-ს მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და შინაარსობრივად მოიცვას პრაქტიკული უნარების განვითარება არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებითაც. ამასთან, ვინაიდან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა შეფასების მეთოდია, სასურველია სასწავლო კურს „კლინიკა (იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში)“ ეწოდოს „საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული კურსი“-.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდელის შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის

პირველივე ეტაპიდან, ხოლო იურიდიული პრაქტიკა და პრაქტიკის შემაჯამებელი არჩევითი კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვდასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, გაანალიზება, თვითშეფასება და რეფლექსია კერძო, საჯარო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

პრაქტიკული კომპონენტების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამართლებრივი დახმარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შესაბამისი ლექტორების ზედმახედველობის ქვეშ იურიდიული მომსახურება გაუწიონ დაინტერესებულ პირებს. მომსახურება მოიცავს ზეპირი კონსულტაციის გაწევას, წერილობითი დასკვნის შედგენას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და ა.შ.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 14 სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური წერითი საშინაო დავალების (რეფერატი, ანალიტიკური ესსე) შესრულებას და პრეზენტაციას. ამ მიზნით სტუდენტი მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, მეცნიერების სიახლეებს, აანალიზებს სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს, ზეპირი და წერილობითი ფორმით. ასეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს განეკუთვნება:

- სასწავლო კურსი „შესავალი სამართლისმცოდნეობაში“;
- სასწავლო კურსი „ქართული სამართლის ისტორია“;
- სასწავლო კურსი „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“;
- სასწავლო კურსი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“;
- სასწავლო კურსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“;
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“;
- სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი“;
- სასწავლო კურსი „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“;
- სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“;
- სასწავლო კურსი „სამეწარმეო სამართალი“;
- სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“;
- სასწავლო კურსი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“;
- სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“;
- სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. 2019 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის აღმოფხვრის ელექტრონული პროგრამა „strikeplagiarism.com", რომელიც ახდენს ტექსტური დოკუმენტების ავთენტურობის დადგენას. სისტემის ამოცანას წარმოადგენს მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება, ხელი შეეუწყოს ტექსტის შეფასებას, მიუთითოს მათი მდებარეობა და ა.შ. აღნიშნული უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენას და სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებას.

აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტთა ცნობადობის ამაღლების მიზნით, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის და ასევე სტუდენტებისთვის უსდ-ის მიერ განხორციელებულია რიგი ღონისძიებები. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის შექმნილია პლაგიატის ამომცნობი პროგრამით სარგებლობისთვის ინდივიდუალური მოხმარების 49 ერთეული ანგარიში, რომლის საშუალებით პერსონალს შეუძლია გაატაროს პლაგიატის პროგრამაზე სხვადასხვა სტუდენტური დავალებები და წერითი ნაშრომები.

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უსდ-ის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი StrikePlagiarism-ის გამოყენების შესახებ.

ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ შეტანილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და განემარტება სტუდენტს ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში, ამასთან, ლექტორი ვალდებულია პლაგიატის ამომცნობი პროგრამით („StrikePlagiarism") შეამოწმოს სტუდენტის ყველა ის წერითი დავალება (მაგ. რეფერატი), რომელიც მოითხოვს გამოყენებული წყაროების მითითებას. აღნიშნულის შესახებ ანგარიში ფაკულტეტის მიერ სემესტრის ბოლოს მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა შეფასდეს ლექტორების მიერ დადგენილი მექანიზმების გამოყენების საკითხი.

სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ახდენს კვლევითი საგრანტო კონკურსების, ინდივიდუალური კვლევითი სტიპენდიების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების შესახებ სტუდენტების ინფორმირებას, ასევე ეხმარება სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროგრამების მოძიებაში და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებაში.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ

ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. სტუდენტურ კონფერენციებზე სტუდენტები წარმოადგენენ მოხსენებებს მათი ინტერესების სფეროში შემავალი აქტუალური საკითხების შესახებ. 2020-2021 აკადემიურ წელს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტმა სტუდენტთა მე-17 სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა: https://www.unik.edu.ge/News/1161

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი;
- ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №ძ54 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანთლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისა და შეფასების წესი“; https://unik.edu.ge/PagePDF/a4764524a334d94ee3babed00c29aac9.pdf
- ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის №ძ 179 ბრძანებით დამტკიცებული „სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის წესი“ https://unik.edu.ge/PagePDF/ba1331e1abac0814649e29f6fd20f578.pdf;
- ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ 23 ბრძანებით დამტკიცებული „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“. https://unik.edu.ge/PagePDF/2cc0112416dc391fdd34c6c39a4ec7e3.pdf
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განხორციელდეს „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“-ს მოდიფიკაცია, სასწავლო კურს ეწოდოს „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და შინაარსობრივად მოიცვას პრაქტიკული უნარების განვითარება არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებითაც.
- ვინაიდან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა შეფასების მეთოდია, სასურველია სასწავლო კურს „კლინიკა (იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში)“ ეწოდოს „საერთაშორისო სამართლის პრაქტიკული კურსი“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;

- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორიცაა: ვერბალური ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცი, ანალიზი, სინთეზი, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, პროექტის/რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული მეთოდები, დამოუკიდებელი სწავლა, გუნდური (collaborative) მუშაობა და სხვა.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდებისა და აქტივობების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა, ასევე სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. მაგალითად, სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდად გამოყენებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ხოლო აქტივობებად: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, როლური თამაში (სიმულაციური სიტუაცია), ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული დავალებები და ა.შ. კვლევითი უნარების განვითარების მიზნით გამოყენებულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, ანალიზი, პროექტის/რეფერატის შემუშავება და ა.შ. კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის ფარგლებში უსდ-ს შემუშავებულია აქვს სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. აღნიშნული რუკა აღწერს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამით დასახული რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს და ამასთანავე, ცხრილი მიუთითებს თუ რომელი მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა სასწავლო კურსით/კომპონენტით გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და აკადემიური მოსწრების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეები, შემუშავების საფუძვლები და პროცედურები განსაზღვრულია ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით", რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ18 ბრძანებით.

სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს კვირაში 2 საათიან დამატებით კონსულტაციებს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებულია, როგორც სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასევე საკონსულტაციო შეხვედრების განრიგში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები;
- სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №3).
- ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ18 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია"; https://unik.edu.ge/PagePDF/263ae81e681a8e6a793fb3a1d62b17c3.pdf
- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა - http://unikmoodle.ge/.
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის

მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შუალედური შეფასების 42 %, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%+1. ამასთან, სასწავლო კურსის განმახორციელბელ პერსონალს, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლება აქვს სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) საფუძველზე. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში მიღებული ქულების ჯამს.

სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის, მათ შორის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

შეფასების კომპონენტები, შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით,

მოიცავს შეფასების ადექვატურ მეთოდებს ანუ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს - ზეპირი/წერითი გამოკითხვა, ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ესსე, რეფერატი, პრეზენტაცია, პრაქტიკული ან თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა.

ამრიგად, სტუდენტთა შეფასება არის მრავალმეთოდიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, უსდ-ის მიერ გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო კურსებში სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, პრაქტიკული დავალების შესრულება და ა.შ., კომუნიკაციის უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ესსეს, რეფერატის პრეზენტაცია, დისკუსიაში მონაწილეობა და ა.შ.

ინფორმაცია შეფასების სისტემის, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის ასახული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, რაც ეცნობება სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. სასწავლო კურსის სილაბუსები ასევე ატვირთული და ხელმისაწვდომია ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში. .

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ დროულ და დეტალურ ინფორმაციას მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება.

უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №362 ბრძანებით დამტკიცებული „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“-ს შესაბსამისად. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო შედეგის შედეგის გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ნაშრომის გაცნობისა და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი არაობიექტურად არის შეფასებული, იგი უფლებამოსილია

წერილობითი განცხადების საფუძველზე იმავე დღეს გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ფაკულტეტის დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტის ნაშრომი გააცნოს სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისია ვალდებულია 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი. მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია საგამოცდო ცენტრს წარუდგენს დასაბუთებულ დასკვნას. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემისა და გასაჩივრების მექანიზმი ეფექტიანობის შესახებ. ამასთან, უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად. მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ისინი პოზიტიურად აფასებენ, როგორც სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, ასევე სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების სისტემას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ○ უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №362 ბრძანებით დამტკიცებული „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“; https://unik.edu.ge/PagePDF/6111e4ed517e8963db6809fdf40564f5.pdf; ○ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა http://unikmoodle.ge/; ○ სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა http://e.unik.ge/; ○ უდ-ის ვებგვერდი: https://www.unik.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

2. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავების შედეგად და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით სტუდენტებისათვის

გასაგებად არის აღწერილი; სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა სამართლებრივი აქტების თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზიტისას მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა რომ სტუდენტები, სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისებს (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების ვებ-გვერდი) წარმატებით იყენებენ. აღნიშნული სერვისების მოქნილობა მათ აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი აქტივობების შესახებ. დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად, კურიკულუმის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტები სათანადოდ არიან ინფორმირებულები. დაწესებულების სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცე, იმიტირებული სასამართლო დარბაზი. აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს შეუწყობს პროფესიისთვის აუცილებელი უნარ ჩვევების ჩამოყალიბებაში. დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას. დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზად არის, გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის დასაფინანსებლად.

დაწესებულებას ხელშეკრულებები/მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში. სტუდენტების ნაწილი დასაქმებულია. დაწესებულების ხელშეწყობით, მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები სისტემატიურად იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ინფორმაციას ვაკანსიების, კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ. დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შემუშავებულია „საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“ რომელიც არეგულირებს პროგრამის მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების და სტუდენტთა შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს, სტუდენტთა საერთაშორისო აკადემიური მობილობაში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების საკითხებს. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და არაერთ

საზღვარგარეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს, "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოფს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადებასა და მობილობის ხელშეწყობას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრი შეიქმნა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმებისა ხელშეწყობის მიზნით. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს - სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისების განხორციელება; პარტნიორებთან/ პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა; სტუდენტთა ფსიქოლოგიური და სხვა სახის მხარდაჭერა; სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობა; მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფა. სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; ○ ხელშეკრულებები და მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ○ უდ-ის ვებგვერდი: https://www.unik.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრის ცენტრის მიერ, გარდა სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისების განხორციელებისა, უზრუნველყოფილია სტუდენტთა ფსიქოლოგიური და სხვა სახის მხარდაჭერა, სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა პანდემიის პარალელურად სასწავლო პროცესის დროს სტუდენტების მხარდასაჭერად.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მისასალმებელია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ჩართულია 50 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 17 აკადემიური პერსონალი და 33 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 6 პროფესორია (მათ შორის 1 აფილირებული), 7 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული), 2 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 1 აფილირებული) და 2 ასისტენტი (ორივე აფილირებული). აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ნავარაუდებია 50 სტუდენტის ჩარიცხვა ყოველ მიღებაზე. უნივერსიტეტს არ აქვს დაშვება გაკეთებული მობილობით დენადობაზე, ასევე სტუდენტის მიერ სტატუსის შესაძლო შეჩერებაზე. შესაბამისად ნავარაუდებია ოთხი წლის შემდგომ 200 სტუდენტის არსებობა. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების სავარაოდო რაოდენობასთან თანაფარდობა არის 1/4, აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო

საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონალის ნაწილს მოუწევს თბილისიდან ვიზიტები. იმისთვის, რომ დადგინდეს რამდენად შესრულებადია პროცესი წარმართვა. ვფიქრობ, საჭიროა მოხდეს თითოეული მათგანის ზოგადი დატვირთვის შესწავლა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი აკმაყოფილებს შედეგის გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციას. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს თათია დოლიძეს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. მას აქვს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სამართლის სწავლების 6-წლიანი გამოცდილება. 2019 წლიდან ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. ხელმძრვანელი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებაში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს ლევან მესხორაძე აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. მას აქვს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სამართლის სწავლების 14-წლიანი გამოცდილება. ხელმძრვანელი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. ჩართულია 15 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე 200 სტუდენტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით.

თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამით გაწერილი წახალისების სისტემის შესრულებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა პროგრამის ბიუჯეტით არ არის გაწერილი, ხოლო უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტის ბიუჯეტით არის თუ არა გათვალისწინებული გაურკვეველია. ინტერვიუს დროს ფინანსისტმა არ გასცა შეკთხვებს

კონკრეტული პასუხი, ძირითადად გამოთქვამდა ვარაუდებს. მოწვეული/აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილის საცხოვრებელი ადგილი არ არის ქუთაისი. პირადი ინფორმაციის შესწავლით დგინდება, რომ მათი დღის წესრიგი ძალიან დატვირთულია. სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს სპეციალური დატვირთვის სქემა ამ პერსონალისთვის, რათა პროგრამის მდგრადობა გარანტირებული იყოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაციით; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; ○ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ძ 51 ბრძანება; ○ უსდ-ს/ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ქუთაისი, უსდ-მ, სხვა უსდ-ებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა გარანტირებული იყოს პროგრამის მდგრადობა; ○ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში ზედმიწევნით გაიწეროს თვითშეფასების ანგარიშით აღებული ვალდებულებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

საგანმანათლებლო პროგრამების, განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

1. აკადემიური პერსონალი ფასდება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ძ 51 ბრძანებით), რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ქულა. ზემოაღნიშნული წესი, თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში, განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა, პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა, ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 25 ქულა, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, ასისტენ-პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა, აფილირებული ასისტენტი - მინიმუმ 20 ქულა, ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულა). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემხთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით განსაზღვრული მოცულობის ანაზღაურებას, კერძოდ, აფილირებული პროფესორი - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასისტენტი - 1500 ლარის ოდენობით, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის

საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს და განხორციელდება ყოველწლიურად. 2020-2021 აკადემიური წლის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ანგარიშების საფუძველზე უკვე გაცემულია აფილირების ანაზღაურება (იხ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები). 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე ფასდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით (შეფასების პროცესი რეგულირდება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით), რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის ზემო ხსენებული აქტივობების დაფინანსება. პირდაპირ გაწერილი არც უსდ-ს/ფაკულტეტის ბიუჯეტშია. ინტერვიუს დროს ფინანსისტმა განაცხადა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვადასხვა ხარჯშია გადანაწილებული, თუმცა ბუნდოვანი და გაურკვეველია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაციით; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან.; ○ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ძ 51 ბრძანება; ○ უსდ-ს/ფაკულტეტის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, კომპიუტერული აუდიტორიები... სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე და მოქნილი სისტემით იმართება. რესურსები კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტიპის აუდიტორიებით, იმიტირებული სასამართლო დარბაზით. ბიბლიოთეკაში დაცულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ბაზებთან. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ბაზა - ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტებით, კომპიუტერული ტექნიკით, სამკითხველო დარბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით, დაწესებულების ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის უზრუნველჰყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. თუმცა, საგამონაკლისოდ აღსანიშნავია, რომ - ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი, უახლესი

ლიტერატურის მოძიება ბიბლიოთეკაში ვერ განხორციელდა, შესაბამისად - მიზანშეწონილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოების სათანადო ფორმით განახლება და სტუდენტებისათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსებთან წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, სისტემატურად განახლდეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები უახლესი იურიდიული ლიტერატურით, განსაკუთრებით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსების ნაწილში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ მოწოდებული ბიუჯეტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ბიუჯეტით დგინდება, რომ პრიორიტეტი ენიჭება კვალიფიციური აკადემიური/მომსახურე პერსონალის მოზიდვას, რადგან ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება ანაზღაურებაში. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია დაფინანსების წყაროდ სწავლის საფასური, თუმცა ინტერვიუდან გაირკვა რომ პროგრამის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტიდანაც, რაც პროგრამის ბიუჯეტში არ ჩანს.

ინტერვიუს დროს ასევე დაზუსტდა, რომ სხვა ქალაქში მცხვორებ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალის მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს გაიღებს უსდ. პირველ სასწავლო კურსის საგნებს უმეტესწილად კითხულობენ თბილისში მცხოვრები პერსონალი, რაც ძალიან ზრდის პროგრამის განხორციელების ხარჯებს.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი"

2022-2023 სასწავლო წლის ფინანსური გეგმა

პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლები (ლარი)

2022-2023 წწ. აკადემიური წელი	
ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
საგანმანათლებლო პროგრამა	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საშუალო წლიური რაოდენობა	50
შემოსავალები სულ	GEL 112 500
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	112 500,00
პირდაპირი ხარჯი სულ	GEL 35 400
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის ხარჯი	35 400,00
ფინანსური შედეგი	GEL 77 100

რადგან ბიუჯეტის წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური და მოწოდებული ვარიანტი არის სავარაუდოდ შედგენილი, ჩნდება საფუძვლიანი შეკითხვა, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ უსდ-ს მოლოდინი არ გამართლდება და იქნება უფრო ნაკლები სტუდენტი ვიდრე ნავარაუდები იყო. როგორც ინტერვიუს შედეგად გაირკვა, უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტი მზად არის მოახდინოს ფინანსების აკუმულირება და სამართლის

პროგრამის მიზნებისთვის გადასროლა, იმ შემთხვევაში თუ ვარაუდი ვერ იქნება გამართლებული ან დამატებით ხარჯებს მოითხოვს პროგრამის განხორციელება. შესაბამისად უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით რომ ვთქვათ, ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება ამ კონკრეტული საფეხურის ბიუჯეტის დაზღვევა, იმ შემთხვევაში თუ ვერ შეივსება ან დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ესფაქტი რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა სამწუხაროდ დოკუმენტურად გაწერილი არ არის. პროგრამის ძირითადი დანახარჯები, რომელიც თან სდევს პროგრამის გააქტიურებას არის: ხელფასები - 35400 ლარი (გაწერილია პროგრამის ბიუჯეტით) პერსონალის (აფელირებული) წახალისების სისტემით გათვალიწინებული მაქსიმალური შედეგის დადგომის შემთხვევაში 13 000ლარი (პროფესორი - 1 , ასოცირებული პროფესორი - 2 , ასისტენტ პროფესორი - 1, ასისტენტი - 2) , 3/3 საუკეთესო აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება ჯამში 5100 ლარი; მოწვეული/აკადემიური პერსონალის მგზავრობის და საცხოვრებლის ხარჯი საერთოდ არ არის გაწერილი; ასევე არსად ჩანს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა თუ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებისთვის გასაწევი ხარჯები; იმისათვის რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა შესრულებადი იყოს საჭიროა სამართლის პროგრამის ბიუჯეტში მკვეთრად გაიწეროს ხარჯები. სხვა შემთხვევაში პროცესი შეუსრულებადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ; ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი; ○ უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის ბიუჯეტში იმ თანხების აკუმულირება, რომელიც საჭიროა თვითშეფასების ანგარიშით/ინტერვიუს შედეგად დადასტურებული აღებული ვალდებულებების შესასრულებლად; ○ რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი იყოს გამჭირვალე, ზედმიწევნით იყოს გაწერილი ყველა შემოსავალი და ხარჯი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა აგებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ დაცვით. როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის, საჯაროობის, სანდოობის, უწყვეტობის და სხვა პრინციპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“-ს კომპონენტებს: • თავდაპირველად იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვა, რაც მოიაზრებს შეფასებისთვის აუცილებელი ნაბიჯების დაგეგმვასა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების ღონისძიებების დასახვას; • შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვანია დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება. ამ დროს იკვეთება საყურადღებო საკითხები და დგინდება გასაუმჯობესებელი

მხარეები. ამასთან, გასათვალისწინებელია მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც ნიშნავს მიღებული შედეგების გასაუმჯობესებლად რელევანტური ღონისძიებების ჩატარებასა და შესაბამისი ცვლილებების შეტანას;

- მომდევნო ეტაპზე აუცილებელია განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, მიღებული შედეგების შეფასება-ანალიზი, კონკრეტული პროცესების, რეაგირების მეთოდებისა თუ მექანიზმების შეფასება;
- შეფასებისას მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აუცილებელი ცვლილებების შეტანა. აქ შეიძლება მოიაზრებოდეს გამოყენებული მექანიზმების, დოკუმენტაციისა და შეფასების საშუალებების გადახედვა, ხოლო პროცესის დახვეწა-განვითარებისთვის საჭიროებისამებრ განახლება და დამტკიცება.

პროგრამის განახლება გულისხმობს პროგრამის ხელმძღვანელების, კომიტეტის წევრების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით ცვლილებებზე მუშაობას. პროგრამის შემუშავების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაუზიარა პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს იმ შეფასების შედეგები, რაც მიმდინარეობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით. საქმე ისაა, რომ სტუდენტები აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ტარდება სტუდენტთა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, ფასდება საგამოცდო პროცესები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფასდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. ცალკე შეფასების საგანია სააუდიტორო მუშაობა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. მიღებული შედეგები ეგზავნებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირებისა და სხვადასხვა პრობლემური საკითხის აღმოფხვრისთვის.

პროგრამის შინაარსზე მომუშავე ჯგუფმა განიხილა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაზიარებული შედეგები. როცა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შეიმუშავა, დაინტერესებულმა მხარეებმა გამოთქვეს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შევიდა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში.

ამასთან, საყურადღებოა უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სახელდობრ სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების დახმარებით. შეფასების პირდაპირ მეთოდად მოაზრებულია სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება-ანალიზი. ამასთან, შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების მეშვეობით. შეფასების ინდიკატორებად განიხილება:

- რისკების გამომწვევი გარე და შიდა ფაქტორებთან დაკავშირებით მონაცემების შეგროვება;
- რისკების შესაფასებლად მიღებული მონაცემების ანალიზი;
- საჭიროებებზე რეაგირების განსაზღვრა;
- რეაგირების ადეკვატური ფორმის შერჩევა.

რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, მათში მოიაზრება დაინტერესებული აქტორების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საერთო სწავლის შედეგებს, კერძოდ, პროგრამას აქვს ერთიანი ფორმით ჩამოყალიბებული 11 სწავლის შედეგი. ასევე, პროგრამაში შედის ოთხი კონცენტრაცია: საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი და საერთაშორისო სამართალი. ამ კონცენტრაციებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. თუმცა პროგრამაში არაა ცალ-ცალკე სწავლის შედეგები გამიჯნული კონცენტრაციებისთვის. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. კონცენტრაციით განსაზღვრული კრედიტების მოცულობა სტუდენტმა უნდა აითვისოს სრულად. ამდენად, ჩანს ცალ-ცალკე იმ სწავლის შედეგის ასახვის საჭიროება, რომელიც არჩევითი კონცენტრაციის წყალობით დგება (მიიღწევა) პროგრამაში. შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების დაკონკრეტება, კონცენტრაციების მიხედვით. პროგრამის საერთო სწავლის შედეგები, კონცენტრაციების გათვალისწინებით, ინდივიდუალურად უნდა ჩამოყალიბდეს და თითოეულ კონცენტრაციას უნდა მოერგოს (იხ. დეტალურად პირველი სტანდარტი).

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული არიან როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი, სტრუქტურული ერთეულები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფინანსური სამსახური, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი და სხვ.). მათი დახმარებით ხდება თვითშეფასების ანგარიშისთვის აუცილებელი მონაცემებისა და ანგარიშების მომზადება-შეგროვების უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება.

მართალია, მისასალმებელია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების არსებობა, მაგრამ უშუალოდ მექანიზმი ობიექტურობისა და სანდოობის თვალსაზრისით დახვეწას საჭიროებს. მაგალითად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის, საგამოცდო ცენტრის, სტუდენტთა და სხვათა მიერ. საქმე ისაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას წინასწარ დადგენილი კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსის შინაარსს, შინაარსის შესაბამისობას სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ეფექტიანობას, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, სასწავლო

კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მისაღწევ შედეგებთან შესაბამისობას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას და ა.შ.

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მხრიდან. პერსონალის შეფასება ასევე გულისხმობს აკადემიური პეროსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობის წლიურ შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირების, მათი საქმიანობის ხელშეწყობის, წახალისებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანიც აფასებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და პროგრამის ხელმძღვანელებიც, თუმცა ისინიც ცალკე ფასდებიან სხვათა მიერ, მაგრამ საერთო ჯამში ერთიანი სისტემის ფარგლებში ხდება შეფასება. რჩება შთაბეჭდილება, რომ, თავიანთი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ფუნქციებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი პირების ხელში არის მექანიზმი, რომლითაც აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეიძლება დაბალი ქულებით შეფასდეს (რისი დასაბუთების მოვალეობაც არ აქვთ) და ამ გზით დასაწყისშივე გამორიცხონ მათთვის წახალისების ღონისძიებების გავრცელება. პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგების ჩამოყალიბებისას შესაძლებელია, ძირითადად, წახალისებული აღოჩნდნენ ხელმძღვანელი პირ(ებ)ი, როგორც ამავდროულად აკადემიური თანამდებობის მქონე პირები.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი პირ(ებ)ი არ უნდა შეფასდნენ იმავე სისტემის ფარგლებში, რომელშიც აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება, რათა უფრო მეტად ობიექტური და სანდო იყოს შეფასების მექანიზმი, ხელმძღვანელ პირთა მიერ ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ფუნქციების განხორციელებამ კი შეფასების პროცესში არ შეუშალოს პერსონალის ჯანსაღ კონკურენციას ხელი. ამდენად, თუ აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასდება ცალკე პერსონალის შეფასების ქუდქვეშ, ხოლო ხელმძღვანელი პირებ(ებ)ის შეფასება, მათი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მოექცევა ცალკე ხელმძღვანელი პირების შეფასების სისტემაში, მათი შეფასების მექანიზმი დაიხვეწება და ამ გზით საფრთხეებიც უფრო მეტად იქნება წინასწარ თავიდან აცილებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ“ უნივერსიტეტის მმართველი

საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დადგენილება; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №ძ 36 ბრძანება; ○ „საუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ17 ბრძანება; ○ სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიშის ფორმა; ○ ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანაგრიშები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული კონცენტრაციების გათვალისწინებით; ○ რეკომენდებულია, ცალკე შეფასდეს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა, მათი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფუნქციების გათვალისწინებით, ხოლო ცალკე - აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა როგორც მეტი ობიექტურობის, ისე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის გარე შეფასება უკავშირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებს. მართალია, წარმოდგენილი პროგრამა ახალია, მაგრამ უნივერსიტეტი ცდილობს, სხვა პროგრამებზე გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასებისთვის შესამოწმებელი დოკუმენტაცია გადაეცა დარგის სპეციალისტს, რომელმაც შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის მიზნები და შედეგები, ასევე, პროგრამის სასწავლო გეგმა. გარე ექსპერტმა პროგრამა დადებითად შეაფასა და გამოთქვა რეკომენდაციებიც, რომლებიც შეეხებოდა: 1. სასწავლო კურსების სასწავლო გეგმიდან „სამოხელეო სამართლისა“ და „მიწის სამართლის“ ამოღებას, რადგან ისინი ზედმეტად ვიწრო სპეციალიზაციისაა; 2. პროგრამაში „ბავშვის უფლებების დაცვის“ სასწავლო კურსის დამატებას. ეს რეკომენდაცია გამოითქვა დაინტერესებული მხარეების მიერაც. წარმოდგენილი რეკომენდაციები განიხილეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და გაითვალისწინეს პროგრამაში. ამასთან, საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტი ჩართულია პროექტში Bologna Hub Peer Support", რომლის ფარგლებშიც ბოლონიის ექსპერტებისგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ კონსულტაციებს მათი საჭიროებების მიხედვით. პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის წევრებისთვის, რათა მიიღონ მნიშვნელოვანი გამოცდილება და გაითვალისწინონ სიახლეები საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამას წაადგებოდა და ხარისხს აამაღლებდა გარე შეფასების სხვა ინსტრუმენტების გამოყენება. ასეთი შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, პარტნიორი უნივერსიტეტების გამოხმაურებები, ანალოგი პროგრამების განმახორციელებელი უცხოელი პროფესორების მიერ პროგრამის შემოწმებისას რეკომენდაციები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ გარე ექსპერტის შეფასება; ○ თვითშეფასების ანგარიში.

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით გამოყენებულ იქნეს გარე შეფასების ისეთი საშუალებები, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტებისგან გამოხმაურებები, უცხოელი პროფესორების შეფასებები, რეკომენდაციები და სხვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა შემდეგი ეტაპების დახმარებით:

- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;
- ანალოგიური პროგრამების შესწავლა-ანალიზი;
- მიღებული შედეგების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსიის შეფასება დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მიერ;
- მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვა, რათა ცვლილებების ინიცირება და რეალიზება დაიგეგმოს პროგრამის დახვეწის მიზნით.

პროგრამას აფასებენ პროგრამის ხელმძღვანელები წლიურად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებთან, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მიღებული შედეგები წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით, რათა საჭიროების შემთხვევაში პროგრამა განახლდეს და მასში ცვლილებები შევიდეს.

მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდებით შეფასებისთვის ანალიზდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, ანალიზის დროს იდენტიფიცირდება პრობლემები და ბოლო სამი წლის აკადემიური მოსწრების შედეგებზე დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე გამოიყოფა რეალურად საყურადღებო საკითხები, ასევე გამოირიცხება ძლიერი და სუსტი ჯგუფების დროს მიღებული შედეგები. არსებული მონაცემები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს საკითხის სიღრმისეული შესწავლისა და საჭიროებისამებრ ცვლილებების განსახორციელებლად. რეაგირება შეიძლება მოიაზრებდეს სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სწავლება-სწავლის მეთოდების დაზუსტებას, ლიტერატურის განახლებას და სხვა. ექსპერტთა ჯგუფი შენიშნავს, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია მონიტორინგის ღონისძიებების გაძლიერება, განსაკუთრებით სწავლის შედეგების სათანადოდ ჩამოყალიბების, სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლების, ურთიერთგადაფარვის, ასევე, სწავლება-სწავლის მეთოდთა მიზნობრივად გამოყენების მიმართულებით (დეტალურად იხ. პირველი სტანდარტი, ასევე, 2.3 და 2.5 კომპონენტები).

ზოგადად, სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდებად გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. მათზე რეაგირების ღონისძიებებს ატარებენ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც კომიტეტზე განხილვის შემდეგ ანალიზის შედეგებსა და რეაგირების შესახებ ანგარიშს მიაწვდიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მოცემულ შემთხვევაში სამართლის საბაკალავრო პროგრამას ვინაიდან არ ჰყავს კურსდამთავრებული, არ განხორციელებულა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ არაპირდაპირი შეფასება, მაგრამ წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტში მოქმედი მეთოდოლოგიის დაცვით ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების შედეგები ნიმუშის სახით.

ამავე დროს, საყურადღებოა პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის ამაღლებისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გამოყენებით. შეფასება შეიძლება განხორციელდეს პერსონალის მიერ პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების, სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე საჭიროებების გამოსაკვეთად. შეფასების პროცესში ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელი. შეფასების შედეგები და უკუკავშირი ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. ამავე დროს, მონაცემები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროებისამებრ რეაგირებისთვის. ისინი აანალიზებენ შეფასების შედეგებს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს, თუ ამისი საჭიროება გამოიკვეთა. თუ დადგინდა პროფესიული განვითარების აუცილებლობა, პროცესში ერთვება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომელიც ორგანიზებას უწევს და ატარებს პროფესიულ ტრენინგებს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. შეფასდა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მოქმედი მეთოდოლოგიით არის დადგენილი სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ანაზღაურების საკითხებს და სხვა. ამასთან, ტარდება სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ამ მიზნით გამოიყენება უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (http://e.unik.ge/). მიღებული შედეგები გამოიყენება ანალიზისთვის და წარედგინება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირებისთვის. თუ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიმართ დაფიქსირდა რეკომენ-დაციები, ისინი მუშაობენ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. საბოლოო ჯამში, რეგირებისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

პროგრამის განვითარების მიზნით დაისახა ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა-გაზიარება. ამ მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შედარდა თსუ-ის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან. ასევე, გაანალიზდა საერთაშორისო გამოცდილება ტილბურგის უნივერსიტეტის, მაასტრიხტის უნივერსიტეტის და აშშ-ის მაგალითებზე, განსაკუთრებით პროგრამების მიმდინარეობის სტრუქტურის, ინოვაციებისა და განსავითარებელი კომპეტენციების შესწავლაზე. ეს უდავოდ მისასალმებელია, ვინაიდან ქართული და უცხოური საუკეთესო გამოცდილების დადგენისთვის, ცხადია, უმნიშვნელოვანესია ანალოგ პროგრამებთან დადარება, რათა პროგრამა თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

თუმცა ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელთა მხრიდან აღინიშნა, რომ სწავლის მიზნებზე, კონკრეტულ კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებზე, არ მომხდარა უცხოურ ანალოგ პროგრამებთან დადარება, დადარების მიზანი იყო ზოგადი სურათის გარკვევა. თვითშეფასების ანგარიშიდან გამოიკვეთა ქართულ ანალოგ პროგრამებთან ამ პროგრამის სავალდებულო თუ არჩევით საგნებს შორის განსხვავებები და მსგავსებები. მაგალითად,

ქუთაისის უნივერსიტეტმა გაიზიარა თსუ-ის გამოცდილება და პროგრამაში აისახა საგანი „შესავალი კონსტიტუციურ სამართალში“, თუმცა ამ ცვლილების შედეგად წარმოდგენილ პროგრამაში შინაარსობრივად გამოიკვეთა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალში“ გადაფარვები არსებობს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით (დეტალურად იხ. 2.3 კომპონენტი). დადარების საფუძველზე ამ პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთული სასწავლო კურსები, რომელთა ნაწილი სხვა დადარებულ პროგრამებში არჩევით სასწავლო დისციპლინათა ნუსხაშია, ზოგიერთი - სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. ამ გზით პროგრამა დაეფუძნა უფრო მეტად სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს. თუმცა აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ „აკადემიური წერა“ და „ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში“ სავალდებულო თავისუფალ კომპონენტებად აისახა პროგრამაში. არადა სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის უფრო აქტუალური იქნებოდა არა ზოგადად აკადემიური წერა, არამედ აკადემიური წერა სამართალში, იურიდიული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ შეემზადოს სამართლის ბაკალავრი შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად. ამასთან, თუ პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ კომპონენტებზე, კარგი იქნებოდა „სამართლებრივი წერის“ სასწავლო კურსის არსებობაც.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამების დადარების დროს მიზანშეწონილი იყო პროგრამების შინაარსობრივი მხარის გათვალისწინება და წარმოდგენილი პროგრამისათვის მორგება, რაც მიიღწევა არა უბრალოდ ამა თუ იმ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო კურსების გადმოღებით, არამედ შინაარსობრივი თავისებურებების გაანალიზების შედეგად ინტეგრირებით. ამ გზით არ დაიკარგება საგნებს შორის ლოგიკური კავშირი და კურსების წინაპირობების განსაზღვრის სპეციფიკაც არ იქნება უგულებელყოფილი (იხ. დაწვრილებით 2.2 და 2.3 კომპონენტები). ამ მიმართულებით იგრძნობა მეტი მუშაობის ჩატარების აუცილებლობა.

ასევე, საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები, ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი. ცხადია, მისასალმებელია, რომ პანდემიის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესში, ასევე, გვხვდება შესაბამისი გზამკვლევები. თუმცა შუალედური და ფინალური გამოცდები არაა სასწავლო პროცესისგან განყენებული. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი მოიცავდეს როგორც ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ისე ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების სპეციფიკას. ამ შემთხვევაში ერთი დოკუმენტი მოაწესრიგებს მან სასწავლო პროცესის სრული ციკლი (ლექცია-სემინარების ჩატარება, ლექციის ვიდეოჩაწერის დასაშვებობა და დამსწრეთაგან ნებართვის მიღება, ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერების და/ან ფოტოების გამოყენება პერსონალური მონაცემების დაცვით, შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ“ უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დადგენილება; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №ძ 36 ბრძანება; ○ „სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ17 ბრძანება; ○ „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ 16 ბრძანება; ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის სტრუქტურა; ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი; ○ ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანაგრიშები; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ ინტერვიუს ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება როგორც სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლების, ურთიერთგადაფარვების აღმოფხვრის, სხვა სასწავლო კომპონენტების შეფასების, ისე ანალოგი პროგრამების დადარებისას შინაარსობრივი მხარის გათვალისწინების მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, ერთი დოკუმენტით დარეგულირდეს სასწავლო პროცესის სრული ციკლი, ამ აქტმა გააერთიანოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო ადმინისტრირების წესი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

შპს - „ქუთაისის უნივერსიტეტი“

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 78

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ზვიად როგავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი მახარობლიშვილი

დავით ელისაბედაშვილი

მიხეილ ბიჭია

თათია უბერი